წერილის ნომერი: **45-45203425**
თარიღი: **07/12/2020**
პინი: **2936**

ადრესატი: სსპ საკანონმდებლო მაცნე
მისამართი: საქართველო, თბილისი, გ.ფანჯიკიძის ქუჩა N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლით

განსაზღვრული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2020 წლის ა ნ გ ა რ ი შ ი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2020 წლის მანძილზე (2020 წლის 16 იანვარი-2020 წლის 7 დეკემბერი) საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ შემოსულია 39 წერილობითი მომართვა და განცხადება, რომელიც მოიცავს 234 მოთხოვნას საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე. პასუხი გაეცა 38 წერილობით მომართვასა და განცხადებას, ანუ, 227 მოთხოვნას. ერთ წერილზე (7 მოთხოვნა) მიმდინარეობს მუშაობა, რომლის შესახებაც ეცნობა წერილის ავტორს. ადრესატს საბოლოო პასუხი მიეწოდება კანონით დადგენილ ვადებში.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

საანგარიშო პერიოდში, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის თაობაზე გაგზავნილ პასუხთან დაკავშირებით, პასუხის გაგზავნიდან ორი თვის შემდეგ, დამატებითი ინფორმაცია მოითხოვა ერთმა ორგანიზაციამ.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, სხვადასხვა დროს, გადაწყვეტილება მიღებული აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარესა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს.

2020 წელს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე, გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, კანონმდებლობის სრული დაცვით მიმდინარეობდა მუშაობა საჯარო მონაცემთა

ბაზის განახლების, პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის მიზნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ, ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვასთან დაკავშირებული საკითხები სასამართლოში გასაჩივრებული არ ყოფილა, გამომდინარე აქედან, სასამართლოს მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გასაჩივრების თაობაზე ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ თანხების გადახდის შესახებ ვალდებულება დაკისრებული არ არის, შესაბამისად, ამ მიმართულებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარჯები არ გაწეულა.

ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი